

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N038/16¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ენვერი აბულაძე (სტუდენტი)

ფაქტები:

კლიენტსა და ადვოკატს შორის გაფორმდა იურიდიული მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულება ბავშვის მეურვეობასთან დაკავშირებით. ხელშეკრულებით ასევე გათვალისწინებული იყო პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობაც. კლიენტმა ადვოკატს საადვოკატო მომსახურების საზღაურის სახით გადასცა ჰონორარი. ადვოკატმა კლიენტის სასარგებლოდ განახორციელა არაერთი იურიდიული მოქმედება, თუმცა გამოუვალი მდგომარეობის გამო, ადვოკატი და კლიენტი შეთანხმდნენ რომ საქმის წარმოება დროებით შეეჩერებიათ და ადვოკატი სასამართლოს მიმართვდა როდესაც საქმის წარმოება შესაძლებელი იქნებოდა. გარკვეული დროის შემდეგ კლიენტმა ცალმხრივად წყვეტს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ადვოკატმა კლიენტს არ დაუბრუნა თანხა, ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელოსა და გაწეული ხარჯის გამოკლებით.

პროცესუალური ისტორია:

საპროცესო კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატის მიმართ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

სამართლებრივი შეფასება:

ადვოკატის მხრიდან დარღვეულად ჩითვალა კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტის დროს, კლიენტის ფულადი სახსრების უკან დაბრუნების ვალდებულება. საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც კლიენტი და ადვოკატი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შესაძლებელია, რომ დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ, შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი ჰონორარი არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. ასეთ დროს ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს.

ადვოკატ კლიენტს შორის გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება მოიცავდა პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობას, შესაბამისად ადვოკატს კლიენტის საქმეზე შეთანხმებით გათვალისწინებული სამუშაო ბოლომდე არ შეუსრულებია - არ მიუმართავს სასამართლოსთვის. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი და კლიენტი საქმის წარმოების გადადებაზე შეთანხმდნენ და ეს წარმოადგენდა ადვოკატის სტრატეგიას, რადგან კლიენტმა ადვოკატს ცალმხრივად შეუწყვიტა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და

¹ <https://www.gba.ge/pdf/5c4c34c26ffa7.pdf/5c4c34c26ffa7.pdf>

ადვოკატმა, მიუხედავად სურვილისა, ვერ გააგრძელა კლიენტის საქმის წარმოება, მას უნდა გამოეყვითა მის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურებისათვის ექვივალენტური, სავარაუდო თანხა მის მიერ მიღებული საადვოკატო მომსახურების საზღაურიდან, ხოლო ჰონორარის დარჩენილი ნაწილი დაებრუნებინა კლიენტისათვის, ვინაიდან მან კლიენტის ნების შესაბამისად ვეღარ შეძლო შეთანხმების ფარგლებში მისი წარმომადგენლობა.

დასკვნა:²

ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატის მხრიდან ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის დარღვევა და ადვოკატის მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ფორმად განისაზღვრა გაფრთხილება.

² აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში (საქმე დს-შ/17-16) და საინტერესოა იმ მხრივ, რომ ადვოკატის არგუმენტი, კლიენტისათვის თანხის დაუბრუნებლობის თაობაზე იყო ის, რომ მათ შორის არსებობდა შეთანხმება საადვოკატო მომსახურები ხელშეკრულებაში, რომ თუკი საადვოკატო მომსახურება შეწყდებოდა მარწმუნებლის მოთხოვნით, წარმომადგენლობისათვის გადახდილი თანხა მას არ უბრუნდებოდა. იხ: <https://www.gba.ge/pdf/5c4c0b441f6a5.pdf/5c4c0b441f6a5.pdf>